დანართი N1

ქალაქ ქუთაისის მაცხოვრებლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სერვისების გასაუმჯობესებელი ინოვაციური რეკომენდაციების შესამუშავებელი მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღების კონკურსის წესი და პირობები

1. მესავალი

1.1. ქალაქ ქუთაისის მაცხოვრებლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სერვისების გასაუმჯობესებელი ინოვაციური რეკომენდაციების შესამუშავებელი მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღების კონკურსი ცხადდება ქუთაისის მუნიციპალიტეტისა და ა(ა)იპ „მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბი" ერთობლივად განხორციელებული, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის" ფარგლებში.

1.2. აღნიშნული პროექტის ზოგადი მიზანია ქუთაისის გადაქცევა კარგ საცხოვრებელ და საინვესტიციო ქალაქად. კონკრეტულად კი ქუთაისის, იმერეთის დანარჩენი, გურიის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში შესაძლებლობის შექმნა ეფექტიანი წვლილის შესატანად ინტეგრირებულ ტერიტორიულ განვითარებაში მაღალი ხარისხის საჯარო სერვისებით, მათი პოტენციალის, კომპეტენციებისა და ანგარიშვალდებულობის გაზრდით. პროექტი ეხმარება ქუთაისის მუნიციპალიტეტს შექმნას პირობები ქალაქში სოციალური ინკლუზიურობის, ბიზნესის განვითარებისა და შემოსავლის მისაღებად.

2. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიზნები

2.1. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის საერთო მიზანია მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება, რათა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი უკეთ მოემზადოს ინტეგრირებული ტრანსფორმაციისა და ტერიტრორიული განვითარებისთვის.

2.2. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის კონკრეტული მიზნებია: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა მუნიციპალური სერვისების გაფართოებასა და სრულყოფაში; მუნიციპალური სამსახურების ანგარიშვალდებულების მხარდაჭერა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობით.

3. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიმღები სუბიექტები

3.1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 16 და მეტი წლის ასაკის საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

3.2. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღება შეეძლებათ მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ან იმერეთის რომელიმე სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

4. **დამვებული და დაუმვებელი დაფინანსება**

4.1. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერისთვის გათვალისწინებული თანხებით დაფინანსდება დახმარების მიმღების მიერ მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიზნების მისაღწევად ფაქტიურად გაწეული ხარჯები.

4.2. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა არ შეიძლება გამოყებული იქნეს:

- ვალები და ვალის მომსახურების საფასური (პროცენტი).
- არსებული დანაკარგების ან მომავალში პოტენციური ვალდებულებების გასტუმრებისთვის რეზერვების შექმნა.
- ოფისის ქირა.
- საოფისე და IT ტექნიკის შეძენა.
- პირადი მოხმარების ნივთების შეძენა.
- დაზღვევის ხარჯები.
- ბენეფიციარ(ებ)ის მიერ გამოცხადებული და ევროკავშირის გრანტის მიმღები სხვა მოქმედებით ან სამუშაო პროგრამით დაფინანსებული ხარჯები).
- მიწის ან შენობების შესყიდვა.
- ვალუტის კურსის დანაკარგები.
- ფულადი გადარიცხვები სხვა პირებისთვის.
- მოგება
- პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის მხარდაჭერი საქმიანობა.
- ინფრასტრუქტურული ხარჯები.
- საერთამორისო მგზავრობა.
- სხვადასხვა და გაუთვალისწინებელი ხარჯები.
- წარმომადგენლობითი ხარჯი.
- კომუნალური სერვისების მიწოდება.
- სოციალური სერვისები, ჯანდაცვის სერვისები და სხვა.

4.3. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა მიმართული შეიძლება იქნეს, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა სხვა ხარჯების დაფინანსებაზე, რომლებიც გამოყენებული იქნება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კომუნალური, სოციალური და ეკონომიკური სერვისების გაუმჯობასებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის დოკუმენტების (მ.შ. ელექტრონული) მომზადებაზე.

4.4. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის გამოყენება არ შეიძლება იმ საქონლის ან მომსახურების შესყიდვაზე და იმ ქვეყნებიდან, რომელიც აკრძალულია ევროკავშრის მიერ.

4.5. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღება არ შეუძლიათ ევროკავშირის ან აშშ-ს მიერ სანქცირებულ პირებს.

5. **მხარდასაჭერი პროექტების შერჩევა**

5.1. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მესამე მხარის ფინანსურ მხარდასაჭერად შეირჩევა იმდენი განაცხადი რის საშუალებასაც იძლევა მესამე მხარის ფინანსურ მხარდასაჭერად არსებული ბიუჯეტი, წარმოდგენილი

განაცხადების მომზადების მესაბამისობა კონკურსის პირობებთან და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებთან.

5.2. განაცხადები დაკავშირებული უნდა იყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სერვისების გაუმჯობესებასთან, ამასთან ეს სერვისები შესაძლებელია განხორციელებული იქნეს საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების მიერაც. ასეთ განაცხადებს მერჩევისას სხვა განაცხადებთან შედარებით მიენიჭება უპირატესობა. ასევე უპირატესობა მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება მოწყვლად ჯგუფებთან: ქალებთან, შშმ პირებთან და 60 და მეტი ასაკის მოსახლეობასთან.

5.3. განაცხადები უნდა აკმაყოფილებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხელს უწყობდნენ ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთს მაინც:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის.

ბ/. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებით მოქალაქეების კმაყოფილების დონის ზრდას.

გ/. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ ნდობის ზრდას.

5.4. განაცხადის განხორციელების რისკი სრულად უნდა იყოს აღმოფხვრილი და განმცხადებელს უნდა შეეძლოს განაცხადის სრულად განხორციელება და აქ აღნიშნული მიზნების მიღწევა.

5.5. განაცხადით განხორციელებული აქტივობა უნდა დასრულდეს 2024 წლის 15 დეკემბრამდე.

5.6. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მაქსიმალური მოცულობა 5 ათასი ევროს, ხოლო მინიმალური 2 ათასი ევროს ეკვივალენტი ლარში (ამ კონკურსისთვის ევროს კურსი შეადგენს: 2.7828 ლარს).

6. **განაცხადების შეფასება**

6.1. თითოეული განაცხადი შეფასდება კომისიის მიერ სპეციალური კრიტერიუმების გათვალისწინებით. პრიორიტეტი მიენიჭება იმ განაცხადებს, რომლებიც შეფასდებიან უმაღლესი ქულებით.

6.2. კომისია იტოვებს უფლებას არ გამოავლინოს გამარჯვებულები, თუ ვერ შეირჩა სათანადო განაცხადი.

6.3. კონკურსისთვის, პროექტში გამოყოფილი და კონკურსის შედეგების მიხედვით აუთვისებელი თანხის შემდგომი განკარგვის საკითხი გადაწყდება საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან შეთანხმებთ. გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდება სამართლიანად, განაცხადების ობიექტური შეფასების საფუძველზე.

6.4. კომისიის წევრები ვალდებულები არიან თავიდან აიცილონ ინტერესთან კონფლიქტი და პრიორიტეტი მიანიჭონ იმ განაცხადებს, რომლებისაც გააჩნიათ ყველაზე მაღალი პოტენციალი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

6.5. განაცხადების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პასუხების შეფასებისას, კომისია შეაფასებს თითოეულ განაცხადს შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

ა) შესაბამისობა – პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის" და მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიზნებთან.

ბ) განმეორებადობა სხვა მუნიციპალიტეტებში – სასურველია, რომ მუნიციპალური სერვისის განხორციელება მარტივად იყოს შესაძლებელი საქართველოს სხვა და განსაკუთრებით საპილოტე ინტეგრირებული განვითარების პროგრამაში შემავალ მუნიციპალიტეტებში1.

გ) ბენეფიციართა რაოდენობა – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის.

დ) ინოვაციურობა – ახალი ტექნოლოგიების, ბიზნეს მოდელების, მიდგომების, მეთდოლოგიებისა და დაფინანსების სქემებთან დაკავშირებული ინოვაციური მიდგომების გამოყენება. ინოვაცია ასევე შეიძლება მოიცავდეს პროექტებს, რომლებიც ჯერ არ განხორციელებულა საქართველოში, მაგრამ ეფექტური აღმოჩნდა სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

ე) კმაყოფილება – ხელს უნდა უწყობდეს ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებით მოქალაქეების კმაყოფილების დონის ზრდას.

ვ) ნდობა – ხელს უნდა უწყობდეს ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ ნდობის ზრდას.

ზ) მასშტაბურობა – განაცხადით შეთავაზებულ პროექტს/აქტივობას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შემდგომში განხორციელდეს მთელი ქუთაისის მაშტაბით.

თ) მოწყვლადობა – განაცხადმა, ყველა შემთხვევაში უნდა მოიცვას ქალების, შშმ პირებისა და 60 და მეტი ასაკის მოსახლეობის მომსახურებას და უზრუნველყოს, რომ მუნიციპალური სერვისების გაფართოება და გაუმჯობესება თანაბრად „ეხებათ მოსახლეობის ამ ჯგუფებს.

ი) განხორციელების ვადა – განაცხადის განსახორციელებლად გამოყოფილი დრო შეზღუდული უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი დასრულება 2024 წლის ბოლომდე. უპირატესობა მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც შეძლებენ დასრულებას აღნიშნულ ვადამდე ადრე.

კ) დაწყება მოკლე ვადაში – უპირატესობა მიენიჭება განაცხადებს, რომელთა დაწყებაც შესაძლებელი იქნება დაუყოვნებლივ ხელშეკრულების გაფორმებიდან.

ლ) ხელმისაწვდომობა – განმცხადებელი მზად უნდა იყოს მონაწილეობა მიიღოს პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებში და გამოცდილება გაუზიაროს დაინტერესებულთ.

მ) ბიუჯეტი - მოთხოვნილი თანხის მოცულობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ პირობებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

ნ) მკაფიოობა – პასუხი უნდა იყოს მკაფიო და დეტალური, შესაძლებელი უნდა იყოს მისი განხორციელება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ.

ო) გამოცდილება - განმცხადებელს უნდა გააჩნდეს სათანადო გამოცდილება განახორციელოს შემოთავაზება განაცხადში მითითებული პირობებით.

3) მდგრადობა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს უნდა შეეძლოს განაცხადით მემოთავაზებული სერვისის განხორციელება მუნიციპალიტეტისთვის მისაღები დანახარჯების ოდენობით.

6.6. განაცხადები, რომლებიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, დაიმსახურებს მაღალ ქულას.

6.7. განაცხადების შეფასების პროცესი წარიმართება სპეციალური მეთოდოლოგიით, ზოგიერთი კრიტერიუმისთვის ქულების მინიჭებით, ზოგიერთის კი უპირობოდ დაკმაყოფილების მოთხოვნით.

ცხრილი 1. განაცხადების შერჩევის მეთოდოლოგია

შესაფასებელი კრიტერიუმი	გრძელდება შეფასება	წყდება შეფასება
შესაბამისობა	დიახ	არა
ბენეფიციართა რაოდენობა	დიახ	არა
კმაყოფილება	დიახ	არა
ნდობა	დიახ	არა
მასშტაბურობა	დიახ	არა
დაწყება მოკლე (ერთ თვეში) ვადაში	დიახ	არა
ხელმისაწვდომობა	დიახ	არა
ბიუჯეტი	დიახ	არა
კრიტერიუმი ქულებისთვის	**ქვე-კრიტერიუმი**	**ქულა**
განმეორებადობა	-	1
ინოვაციურობა	-	5
განხორციელების ვადა	მითითებული დასრულების ვადამდე 4 თვით ადრე	4
	მითითებული დასრულების ვადამდე 2 თვით ადრე	2
	მითითებული დასრულების ვადისთვის	1
მოწყვლადობა	ქალები	1
	მმმ პირები	1
	60+ მოსახლეობა	1
მკაფიოობა	-	5
გამოცდილება		8
მდგრადობა	დანახარჯებით	1
	დანახარჯების გარეშე	3

6.8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მესულ განაცხადებს განიხილავს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური.

6.9. სამსახური მოახდენს შესაფასებელი კრიტერიუმების მიხედვით განაცხადების გადარჩევას.

6.10. გადარჩეული განაცხადებისთვის ქულების მინიჭებას მოახდენს შესაბამისი კომისია.

6.11. კომისია, ინფორმაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში გამარჯვებულების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად წარუდგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს.

6.12. ხელშეკრულების გასაფორმებლად დაკავშირება მოხდება მხოლოდ მერჩულ განმცხადებლებთან.

6.13. განაცხადების განხორციელება არ დაიწყება მანამ, სანამ ხელშეკრულებას ხელი არ მოეწერება მხარეების მიერ.

6.14. ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა პასუხისმგებლობებს და განაცხადის განხორციელების პირობებს.

6.15. გამარჯვებულ განმცხადებელთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებისა და ხელმოწერისთვის განსაზღვრულია 10 სამუშაო დღე.

7. **გამარჯვებული განაცხადების განხორციელება და მონიტორინგი**

7.1. გამარჯვებული განაცხადების განსახორციელებლად ფინანსური მხარდაჭერის თანხები გადაირიცხება ტრანშებად მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ყოველი შემდეგი ტრანშის გადარიცხვა არ მოხდება თუ განმცხადებელი არ აჩვენებს ჩარიცხული ტრანშის ათვისებას.

7.3. კონკურსის გამომცხადებლები ზედამხედველობას და მონიტორინგს გაუწევენ განაცხადით გათვალისწინებული აქტივობების მესრულებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ხარისხის შესაბამისობა და განსაზღვრული ეტაპების მიღწევის პროგრესი.

7.4. გამარჯვებული განმცხადებლები ვალდებული არიან ითანამშრომლონ კონკურსის გამომცხადებლებთან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის" ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში, რათა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ მათი შედეგების წარმოჩენა, გამოცდილების გაზიარება.

იოსებ ხახალეიშვილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი